პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | შაბათი, 27 ოქტომბერი 1925 წ. | წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი მეომარი

(942) 244 | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ტელ. №№ 2—24 | განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ

## ვემზადოთ ოქტომბრის დღესასწაულისათვის.

ახლოვდება ოქტომბრის დღესასწაული. მალე შესრულდება რვა წელი, რაც დაემხო ბურჟუაზიის და მემამულეების ბატონობა რუსეთში და ძალა-უფლება გადავიდა მუშებისა და გლეხების ხელში.

პროლეტარული რევოლიუციის უდიდესი დღესასწაული აღნიშნულ უნდა იქმნას ღირსეულად.

წითელმა არმიამ ბრწყინვალედ უნდა იდღესასწაულოს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის რვა წლის თავი.

ამ მიზნით საჭიროა ჩვენმა ნაწილებმა აქედანვე შეუდგენ დღესასწაულისათვის მზადებას.

მეთაურები, პოლიტმომუშავენი, წითელ არმიელები—ყველანი ენერგიულად უნდა ჩაებან ამ მოსამზადებელ მუშაობაში.

კლუბმა, ბიბლიოთეკამ, ლენკუთხემ მთელი თავისი მუშაობა უნდა წარმართოს ოქტომბრის დღესასწაულისათვის მზადების მიმართულებით.

ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულის ჩატარება ჩვენ წითელ ჯარს უხდება ისეთ მომენტში, როცა მისი რიგები ივსება ახალი მუშურ-გლეხური ძალებით. ეს გარემოება გვავალებს, რათა ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობა ფართოდ და შინაარსიანად გაშუქებულ იქმნას ახალწვეულებში.

პარტიის როლი ოქტომბრის რევოლიუციაში, მუშების და გლეხების ბრძოლა ოქტომბრის მონაპოვართა შესანარჩუნებლად, საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები სახალხო მეურნეობის აღორძინების დარგში, პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები სოფლად—ყველა ეს საკითხები მარტივ და გასაგებ ფორმებში უნდა განემარტოს ახალ წვეულ მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას. მასთან ყოველივე ეს დაკავშირებულ უნდა იქმნას წითელი არმიის გამტკიცებისა და მისი საბრძოლო უნარის გაძლიერების საკითხთან.

ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა იზრუნონ ძველმა წითელ არმიელებმა. როგორც უფრო მომზადებულებმა, მათ დაწვრილებით უნდა გააცნონ თავის ახალ ამხანაგებს ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობა, წითელი არმიის როლი ოქტომბრის რევოლიუციაში და წითელი არმიის რიგების განმტკიცების საჭიროება დისციპლინის გაძლიერების და ენერგიული სამხედრო—პოლიტიკური მეცადინეობის გზით.

უნდა შთაუნერგოთ ახალ წვეულებს, რომ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარი მტკიცე და შეურყეველი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა ყოველი წითელი მეომარი მედგრად იქნება თავის მოწოდების სიმაღლეზე და მთელი თავისი ძალღონით ხელს შეუწყობს წითელი არმიის რიგების გასალკლდევებას.

ღირსეულად შევხვდეთ წითელ ოქტომბერს!

## იმპერიალისტები ახალ ავანტიურას ამზადებენ ჩინეთში.

უცხოეთის იმპერიალიზმმა ჩინეთის რეაქციონური გენერლების საშუალებით სისხლში ჩაახრჩო რევოლიუციონურ-ეროვნული მოძრაობა იქ. მაგრამ უცხოელი მძარცველები, როგორც სჩანს ამით არ კმაყოფილდებიან. მათ კიდევ სწყურიათ ჩინელების სისხლი. იმპერიალისტებმა იციან, რომ მათ მიერ ჩაქრობილი რევოლიუციონური მოძრაობა კვლავ იფეთქებს, რომ ჩინეთის მშრომელი ხალხი მათ ბატონობას არასდროს არ შეურიგდება და კვლავ შეეცდება მის დამხობას. ეს კარგად იციან ინგლისის, იაპონიის, ამერიკის და სხვათა მტაცებლებმა და ამიტომაც არის, რომ მთელი მათი ძალღონე მიმართულია ჩინეთის დაუძლურებისა და დაქუცმაცებისაკენ. იმპერიალისტებს სურთ ისე დაასუსტონ ჩინეთი, რომ მან დიდხანს ვერ აიღოს წელი ახალი შეტევისთვის უცხოელი მჩაგვრელების წინააღმდეგ. განსაკუთრებით დიდ გულმოდგინეობას იჩენს ამ მხრივ ინგლისის იმპერიალიზმი.

ის მოწადინებულია, რათა სისხლის ღვრა ჩინეთში ერთი წუთითაც არ შეჩერდეს.

ამ მიზნით ის იყენებს იმავე ჩინეთის რეაქციონურ გენერლებს, აღვივებს მათშორისშურს მტრობას, და ბოლოს იწვევს შეიარაღებულ შეტაკებასაც.

ამ ჟამად იწყება ომი, გენერალ ჩჟან-ძოლინსა (ეს ის გენერალია, რომელმაც შანხაისა და ხანკოუში დახვრიტა მუშები და დაამარცხა ეროვნულ რევოლიუციონური მოძრაობა ჩინეთში) და გენერალ უ-პეი-ფუს შორის. ამ ორ გენერალ შორის ჯერ კიდევ შარშან სწარმოებდა ომი, რომელიც უ-პეი-ფუს დამარცხებით დამთავრდა. ჩჟან-ძოლინმა სასტიკი დამარცხება აგემა უ-პეი-ფუს ჯარებს, მაგრამ მისი სრულიად განადგურება ვერ შესძლო. ეხლა ინგლისის ენერგიული დახმარებით უ-პეი-ფუმ კვლავ მოკრიფა ძალები და იწყებს თავის მოსისხლე მტერთან ბრძოლას. რატომ იბრძვიან ეს ორი გენერლები? ორთავეს სურთ ჩინეთზე ბატონობა. ნამდვილათ კი ისინი ასუსტებენ ერთმანეთს და მით ხელს უწყობენ უცხოელ იმპერიალიზმის ბატონობის განმტკიცებას.

ამრიგად გაწამებული ჩინეთი კვლავ სდგას ახალი სისხლის მღვრელი ავანტიურის წინაშე. კვლავ ინგლისის იმპერიალისტების წყალობით კაპიტალის ინტერესებისათვის დაიღვრება მრავალი ათასი მშრომელის სისხლი, განადგურდება მათი მეურნეობა. უცხოეთის იმპერიალიზმი კი უფრო მაგრად ჩასჭიდებს თავის ბრჭყალებს ჩინეთს და განამტკიცებს თავის ბატონობას იქ.

მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. უცხოელი მტაცებლების საზიზღარი ზრახვების განხორციელებასაც. ჩინეთის მშრომელმა ხალხმა საკმაოდ იგემა უცხოელი იმპერიალისტების და მათი დამქაშების სისხლიანი პოლიტიკის სიმწვავე. ჩინეთის მუშა და გლეხი შესძლებს ამ ავანტიურის ჩაშლას.

იმპერიალისტების საზიზღარ ზრახვებს ისინი დაუპირდაპირებენ თავის მთლიან რევოლიუციონურ ფრონტს.

—მ.

# ახალი რადიო-ამბები

## მდგომარეობა ჩინეთში.

### ჩან-ძო-ლინი უკან იხევს.

მთავრობის წრეებში ძლიერდება აზრი მთავრობის გადახალისების შესახებ.

— ჩან-ძო-ლინმა (ჩრდილო ჩინეთის მმართველი) აცნობა პეკინის მთავრობას, რომ თანახმად დუან-ცზი-ჟუის (სრულიად ჩინეთის მმართველი) მშვიდობიანობის ინსტრუქციისა, მან უბრძანა თავის ჯარებს უკან დახევა.

— ჩინეთის მთავრობის წრეები მოწინააღმდეგე პარტიების შერიგების მიზნით საჭიროდ სცნობენ მოახდინონ ცვლილება მთავრობაში, რომელშიაც უნდა შევიდნენ ყველა პოლიტიკურ ჯგუფების წარმომადგენლები.

— მარშალ უ-პეი-ფუმ გაუგზავნა უცხოეთის წარმომადგენლებს ცნობა, რომ ის დაიცავს ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, რომლებიც დადებულია სახელმწიფოებთან. დაცულ იქნებიან უცხოელები, რომლებიც იმყოფებიან მარშალის ჯარების სამყოფ ტერიტორიაზე. უ-პეი-ფუს სწამს, რომ სახელმწიფოები დაიცავენ წესრიგს და დაიცავენ ნეიტრალიტეტს ჩინეთის დღევანდელ კონფლიქტში. როგორც იტყობინებიან დიპლომატიურმა კორპუსმა გადასწყვიტა არაფერი უპასუხოს ამ განცხადებაზე.

## ლოკარნოს კონფერენციის შემდეგ.

### შტრეზემანი ლოკარნოს ხელშეკრულებასა და საბჭოთა კავშირის შესახებ.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი შტრეზემანი უარყოფს იმ შეხედულებას, თითქოს ლოკარნოში გაერთიანებულ სახელმწიფოებს განზრახული ჰქონდეთ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ კავშირის შეკვრა.

წინააღმდეგ შემთხვევაში—ამბობს ის—გერმანია მონაწილეობას არ მიიღებდა ხელშეკრულებაში. გერმანია-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულება ამტკიცებს გერმანიის სურვილს შეინახოს კეთილმეზობლური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

## ჩემბერლენის განცხადება.

### გერმანიის ნაციონალისტები ლოკარნოს შეთანხმებას უარყოფენ.

კრიზისი გერმანიის მთავრობაში.

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩემბერლენმა განაცხადა:

„მე იმედი მაქვს, რომ რუსეთი არ შევა შეკრებაში, როგორიცაა ისეთი შეხედულება, რომ თუ ორი სახელმწიფო სდებს ურთიერთ შორის მეგობრულ შეთანხმებას, ამით მათ ცუდი განზრახვა აქვთ მესამეს მიმართ".



ჩემბერლენი.

—გერმანიის ნაციონალისტების პარტიის კომიტეტის დადგენილებამ ლოკარნოს ხელშეკრულებათა უარყოფის შესახებ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

— გერმანიაში გავრცელებულია ხმები მთავრობის კრიზისის შესახებ. მდგომარეობა უნდა გამორკვეულიყო 25 ოქტომბერს საპარლამენტო ფრაქციის სხდომაზე. ასეთი მდგომარეობის გამო საგარეო საქმეთა მინისტრი შტრეზემანი დაბრუნდა ბერლინში, ხოლო ჰინდენბურგმა გადსდო ჰანოვერში წასვლა.

## ჩემბერლენი თავს იკატუნებს

ინგლისელ კომუნისტების დაპატიმრების შესახებ ჟურნალისტებთან საუბარში ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩემბერლენმა განაცხადა:

„ცუდია ასეთი ზომები თუ კარგი—ეს ჩემთვის საკითხია."

## საფრანგეთის მთავრობა კრიზისის წინაშე.

### მინისტრები მოითხოვენ კაიოს გადაყენებას.

საფრანგეთის ფინანსიურ საკითხების გართულებამ გამოიწვია კრიზისი მთავრობაში. მინისტრების უმეტესობა მოითხოვს ფინანსთა მინისტრ კაიოს გადადგომას, მაგრამ ეს უკანასკნელი სრულებითაც არ ფიქრობს გადადგომას.

საგარეო საქმეთა მინისტრი ბრიანი სცდილობს შეაჩეროს როგორმე ძველი მთავრობის გადადგომა ლოკარნოს შეთანხმების დამტკიცებამდი.

თუ კრიზისი არ იქნა თავიდან აშორებული, პენლევე (მთავრობის თავმჯდომარე) შეადგენს ახალ მთავრობას, რომელშიაც შევა დღევანდელ მინისტრების უმეტესობა, ხოლო პენლევე აიღებს ფინანსთა მინისტრობას სამხედროს მაგიერ.

## ტერორი ბესარაბიაში

ბესარაბიაში გრძელდება ტერორი მოსახლეობის წინააღმდეგ. წამება, ცემა და სხვა ასეთი ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. სოფლებში ჩაყენებულია ჯარები გლეხების ხარჯზე. ასეთი ზომები დაკავშირებულია საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადებასთან. მთავრობის მოწინააღმდეგე პარტიის მეთაურები დაპატიმრებული იყვნენ მოსამზადებელ არჩევნების წინ 3 დღით ადრე.

# ჰამბურგის აჯანყების ორი წლის თავი

## შეტაკება დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის

ჰამბურგის აჯანყების ორი წლის თავის აღსანიშნავად ჰამბურგის განაპირად გაიმართა დიდი მიტინგი. მოხსენება გააკეთა კომუნისტ ტელმანმა, რომელსაც მქუხარე ტაშით შეხვდენ. მიტინგის შემდეგ მოხდა დემონსტრაცია, რომლის დროსაც მოხდა შეტაკება პოლიციასთან. დააპატიმრეს მრავალი დემონსტრანტი.

---

# საბერძნეთ-ბულგარეთის განხეთქილება

### ბრიანი მოუწოდებს მშვიდობიანობისაკენ.

საბერძნეთი აბათილებს ბულგარეთის ცნობებს, თითქოს ბერძნებმა ყუმბარები დაუშინეს ქალაქ პეტრიჩს. ნამდვილათ კი ბერძნების ჯარებს უნდა დაეკავებიათ ბულგარეთის მიერ დაჭერილი საბერძნეთის სდარაჯო დემირ-კაპუ. ამ ამოცანის შესრულების შემდეგ ბერძნებმა უკვე შეაჩერეს წინსვლა.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბრიანმა მოუწოდა ორივე მხარეს დაახევიონ თავიანთ ჯარებს სანაპირო ხაზებზე.

საფრანგეთის დიპლომატიურ წრეებში ფიქრობენ, რომ საბერძნეთ—ბულგარეთის განხეთქილებას მოაგვარებს ერთა ლიგა.

---

# საბჭოთა ამიერკავკასიაში

## ბათუმის ნავთსადგურში საქონლის შემოტანა.

ამიერკავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სახელზე საზღვარგარეთიდან შემოვიდა 12.180 კილო (2 ნახ. გირვანქა) თუთის ნაჟანგი, საბარგო ავტომობილების ხუთი ყუთი, 10.400 კილო კარტონი, ერთი ყუთი მიკროსკოპი (გამადიდებელი შუშებიანი სელსაწყო), 48 ადგილი აბრეშუმის ჭიის თესლი წონით 1840 კილო.

## სამკურნალო დახმარება მუშებს.

გასულ საკურორტო სამკურნალო სეზონში კავკასიისა და ამიერკავკასიის კურორტებზე გაგზავნილ იქნა 6.000 ბაქოს მუშა, ამ რიცხვიდან სანატორიუმებში—3.123 კაცი, დასასვენებელ სახლებში—2.877.

ზამთრის სეზონისთვის აზერბაიჯანის ნავთის საწარმოს აღებული აქვს იჯარით 50 ტახტი, სულ გაშვებული იქნება 455 მუშა. პირველი რიგი გაიგზავნება 28 ოქტომბერს.

# ახკომკავშირელთა შორის

### 1-ლი არტ. ლეგ. 4-ხე საგაუბიცო ბატარეია.

20 ოქტომბერს ლეგიონში მომხდარ კომკავშირელთა კრებაზე ორგანიზატორმა თავის მოხსენებაში აღნიშნა კავშირის ყველა მიღწევები. ამხანაგის თქმით მიუხედავად იმისა, რომ როგორც საზაფხულო პერიოდში, ისე საზამთრო ბინაზე გადმოსვლის შემდეგ მრავალი დაბრკოლებები ეღობებოდა წინ კავშირს, მან თავისი უახლოესი მიზნის განხორციელება მაინც შესძლო.

დაარსებული იქნა სხვა და სხვა ხასიათის წრეები, რომლებშიდაც უახლოეს მონაწილეობას ღებულობდა კავშირის თითეული წევრი. იწვეოდა კრებები თავთავის დროზე და ირჩეოდა ყველა საჭირ-ბოროტო საკითხები.

მოხსენებამ მრავალი შეკითხვები გამოიწვია, რის შემდეგ ამხანაგის მუშაობა კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო.

სამოქალაქო ორგანიზაციებთან კავშირის გაბმის შესახებ ორგანიზატორმა განაცხადა, რომ კოლოფის ქარხნის მუშებთან კავშირი მიზანშეწონილი იყო აქამდე და ნაყოფიერ მუშაობასაც ვაწარმოებდით გაერთიანებულად, მაგრამ ამ ჟამად აღნიშნულ ქარხანასთან კავშირი შესუსტდა, რადგანაც ძლიერ დავსცილდით მათ. კრებამ ამის გამო გადასწყვიტა კავშირის დაჭერა უფრო უახლოეს დაწესებულებასთან, რის მოსაგვარებლადაც არჩეულ იქნა სათანადო კომისია.

განხილული იქნა კავშირში შემომსვლელ ამხანაგების ანკეტები და ავტობიოგრაფიები. ყველა ამხანაგი მიღებული იქნენ ჯგუფში და დასამტკიცებლად გადაეცა შესაფერ ორგანოს.

მიმდინარე საკითხებიდან ორგანიზატორმა მოახსენა კრებას იმ 3 ამხანაგის შესახებ, რომლებიც სამჯერ დაჰკლებიან კრებას. კრებამ მათ გამოუცხადა ამხანაგური გაკიცხვა და მისცა ამხანაგური გაფრთხილება.

სამხკორი ძიროვნელი.

---

# საჰაერო გზა ბაქოსა და ტფილისს შორის.

არსდება საჰაერო მიმოსვლა ბაქოსა და ტფილისს შორის. ამ საქმის მოსაწყობად ბაქოში მოდის უკრაინის საჰაერო გზის დირექტორი იუნგმეისტერი.

# დარჩენილ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრება.

აზერბეიჯანის 14 მაზრაში ულარიბეს გლეხებს შორის აკრებილ იქნა გასული წლის დარჩენილ გადასახადიდან 872 ათასი მანეთი.

# ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაცია საქართველოში.

23 ოქტომბერს პარასკევ საღამოს 6 საათზე, ტფილისში ჩამოვიდა კავკავიდან სამხ.გზატკეცილით ჩეხო-სლოვაკიის მუშათა დელეგაცია.

დელეგაციაში სულ შედის 11 კაცი, მათ შორის ერთი კომუნისტია. დელეგაციის წევრები არიან: ტატერეკი (თავმჯდომარე), ბეზლარი, შახმანი, ლასკე (კომუნისტი), ვასნევსკი, კაშპარი, ანა მოუდა (ფეიქარი-ქალი) კაპეცკი, მნაჟეკი, ვუნდერლიხი და კრასლი.

დელეგაცია თავიდანვე გაიყო ორ ჯგუფათ. მეორე ჯგუფში შედიან რუსეთში ძველათ სამხ. ტყვეთ ნამყოფი მუშები, რომლებიც გაემგზავრენ ურალის მხარეში, სადაც ისინი მოთავსებულნი იყვნენ უწინ სამხ. ტყვეთა ბანაკში.

**ტფილისის დათვალიერება.**

ტფილისში ჩამოსვლისას დელეგაცია დაიყო სამ ჯგუფათ და შეუდგენ ტფილისის ფაბრიკა-ქარხნების და წარმოებების დათვალიერებას. პირველმა ჯგუფმა დაათვალიერა რკინის გზის სახელოსნოები, დეპო, ტყავეულობის ქარხანა და რკ.-გზ.-ის სტამბა.

მეორე ჯგუფმა დაათვალიერა ლენინის სახელობის თამბ. ქარხანა, საკარტონაჟო ქარხანა და მესამე ჯგუფმა დაათვალიერა პოლიგრაფიული ტრესტის წარმოებანი.

ერთ წარმოებაში მათ შეხვდენ თავიანთ თანამემამულეებს და გამოელაპარაკენ მათ თუ რატომ არ წავლენ თავიანთ სამშობლოში—ჩეხო-სლოვაკიაში, რაზედაც პასუხათ მიიღეს, რომ აქ საბჭოთა ქვეყნებში უკეთესია მუშების მდგომარეობა და მათაც აქ ირჩიეს დარჩენა და ცხოვრება.

დელეგაცია აღფრთოვანებულია წარმოებებში ნახულით. ისინი ძლიერ გაკვირდენ, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ასე მცირე ხნის განმავლობაში ამდენათ შესძლო წარმოების ფეხზე დაყენება-აღორძინება.

საღამოს 7 საათზე გაიმართა საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელზედაც მიპატიჟებული იყო დელეგაცია. სხდომაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს პროფესიონალური მოძრაობის შესახებ ამხ. გ. ყურულაშვილმა. მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა ჩვენში პროფესიონალური მოძრაობის განვითარებაზე და გამოსთქვა იმედი, რომ აქ ნახულსა და გაგონილს დელეგაცია დ ა წ ვ რ ი ლ ე ბ ი თ გააცნობს ჩეხო-სლოვაკიის მშრომელთ და ამით ბოლოს მოუღებენ საბჭოთა ქვეყნების შესახებ იქ გავრცელებულ ჭორებს.

სხდომაზე საპასუხო სიტყვით გამოვიდა დელეგაციის თავმჯდომარე ტატარეკი.

კვირას დელეგაციამ ინახულა მეორე გამასწორებელი სახლი, სადაც მათ ლაპარაკი ჰქონდათ პოლიტიკურ პატიმრებთან.

საღამოს 7 საათზე „სასახლის ნომრებში" გაიმართა ამხანაგური ვახშამი, რომელსაც გარდა დელეგაციისა დაესწრენ მუშათა კომისიის წევრებიც. ვახშამზე სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ყურულაშვილმა, ძამანაშვილმა, სულაქველიძემ კუპრაშვილმა და სხვებმა.

საპასუხო სიტყვებით გამოვიდენ ბახმანი, ვუნდერლიხი და სხვები.

საღამოს 12 საათზე დელეგაცია გაემგზავრა დასავლეთ საქართველოსკენ.

დ.

---

# ქართული სოფლის გასამხედროება.

### მზადება მომავალ შეკრებისათვის.

დღევანდელი დაკვრითი ხასიათის ლოზუნგია „სოფლის გასამხედროება".

ვინ შესძლებს ამ იდეის განხორციელებას. რასაკვირველია, ის სამხედრო უჯრედები, რომელნიც ყველაზე ახლო უდგიან სოფელს.

ამიტომ კვლავ ეს მუშაობა უნდა ჩაატარონ ისევ იმავე ტერ. ნაწილების უფპოლიტშემადგენლობამ. მივიღეთ რა მონაწილეობა ერთი დივიზიის მოძრავ შეკრებაში და გავიარე ჩვენი რესპუბლიკის მნიშვნელოვანი ტერიტორია, ჩვენ სამწუხაროდ უნდა დავადასტუროთ, რომ საქმის ამ მხარეზე სრულიად არ არის მიქცეული ყურადღება არც საზოგადოებრივი, და არც სამხედრო ორგანიზაციების მიერ. მაგალითად, არც ერთ სოფელში მე არ მინახავს არც საზოგადო ბიბლიოთეკაში, და არც ქოხ-სამკითხველოში სამხედრო კუთხე; არც ერთ გავლილ სოფელში არ არსებობს სასპორტო წრე, არც ფიზიკური აღზრდის ინსტრუქტორები და სხვა.

ყველა ეს ზომები დიდი ხანია უკვე გატარებულია ცხოვრებაში უკრაინაში და მოსკოვის გუბერნიის სოფლების უმრავლესობაში, და ჩვენში კი ამ მხრივ არაფერია გაკეთებული.

რითი აიხსნება ეს მოვლენა ჩვენ ცხოვრებაში?

**პროგრამის საჭიროება.**

მგონია ამის მიზეზია სათანადო პროგრამის უქონლობა ტერიტორიალური სამმართველოს უმაღლეს დაწესებულებაში.

საჭიროა, რომ ამ სამმართველომ დაუყონებლივ გაითვალისწინოს მუშაობა შეკრებათა შორის, დაარსოს კავშირი ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მათთან ერთად იმსჯელოს სოფლის გასამხედროების შესახებ და შეიმუშაოს დაწვრილებითი გეგმა ამის განხორციელების შესახებ.

საქმის წარმატებისათვის უპირველესად საჭიროა მოსახლეობაში სამხედრო საქმისადმი ინტერესის გამოწვევა.

სასროლო სპორტი, ნადირობა, ფიზკულტურული შეჯიბრი და ატლეტიური თამაში წარმოადგენენ საუკეთესო საშუალებას ასეთი ინტერესის გამოწვევისათვის ადგილობრივ მოსახლეობაში, რადგანაც სასპორტო შეჯიბრი იწვევს მონაწილეობის მიმღებთა შორის: განსაზღვრულ ნერვიულ დაჭიმვას, თავდაცვისათვის ბრძოლას და დაწესებულ წესების სასტიკ ასრულების საჭიროებას.

ამაში გამოიხატება სასპორტო მეცადინეობის და შეჯიბრის განსაკუთრებული ღირებულება, მით უმეტეს, თუ ესენი იქნებიან გატარებული ცალკე სოფლებს ან რაიონებს შორის.

მაგრამ როგორ დავიწყოთ ეს საქმე წარმატებით სოფელში, საიდან გამოვძებნოთ სათანადო მუშაკები, განსაკუთრებით ამ საქმის ორგანიზატორები?

ორგანიზატორებად უნდა იყვნენ თვით ძირითად შემადგენლობის მეთაურები, ხოლო მათ თანაშემწეებათ—ცვალებადი შემადგენლობის პირები, რომელთაც მიიღეს შეკრებათა დროს საუკეთესო მომზადება. ამისათვის საჭიროა შეკრებათა დროს, სამეცადინო დროს გარე, განსაკუთრებულ სასპორტო კურსების დაარსება, სადაც დახელოვნდებიან საუკეთესო ცვალებადელები სროლის საქმის და ფიზკულტურის ხაინსტრუქტორო მუშაობაში.

**მუშაობა სოფლად.**

როგორ უნდა იყოს მოწყობილი სოფელში თვით მუშაობა. არსებულ დადგენილების თანახმად ტერნაწილების შესახებ ცვალებადელთა შორის, მუშაობის ძირითადი და აუცილებელი ნაწილია შეკრებათა შორის სამხედრო კუთხეების მუშაობა. უნდა ვეცადოთ ამ დროს მივიზიდოთ საჭირო მუშაობისათვის აგრეთვე ადგილობრივი ახალგაზრდობა.

თუ თქვენ სათანადოდ მოაწყობთ სამხედრო კუთხეებს, მოამარაგებთ მათ სროლისათვის ყოველგვარ მოწყობილობით, წესდებებით, სამოსწავლო დახმარებებით, მოაწყობთ მათ პატარა სასპორტო განყოფილებებით, — რასაკვირველია, თქვენ გეყოლებათ მრავალი მომსვლელები.

მაშინ ასეთი კუთხე მიზანს მიაღწევს და გადაიქცევა ნამდვილ კაბინეტ-ლაბორატორიად.

ყოველ კუთხესთან უნდა იყოს მიმაგრებული ცვალებადელი მეთაური და პოლიტმუშაკი, რომელნიც იქნებიან ადგილობრივ მთელი სწავლების ხელმძღვანელად.

ამ მუშაობის გასინჯვისათვის უნდა იყოს გამოყენებული ძირითად შემადგენლობის ინსტრუქტორების მისვლა-მოსვლა, რომელიც ხდება თვეში არა ნაკლებ ერთისა.

ამის გარდა სამხედრო კუთხეებში უნდა იყოს მოწყობილი განსაკუთრებული სასპორტო უჯრედები, რომელნიც მოვალენი იქნებიან შეადგინონ სამხედრო-სასპორტო წრეები (გიმნასტიური, სანადირო, საფუტბოლო და სხვ.), სადაც მიიზიდებიან შეძლებისდაგვარად, რაც შეიძლება მეტი ნაწილი სასოფლო ახალგაზრდობისა.

კვირაობით და დასვენების დღეებში უნდა იყოს ხოლმე მოწყობილი სასპორტო „შეჯიბრი წრეთა შორის, საერთო სეირნი და ნადირობა.

ყველა ასეთ პრაქტიკულ ზომების საშუალებით ჩვენ მივაღწევთ ზემო აღნიშნულ მიზანს უფრო ადრე, ვიდრე უბრალო ლაპარაკით „გასამხედროების" შესახებ".

ა. გედევანიშვილი.

# გამწვევე პუნქტზე.

საღამოს მზის სხივები უკანასკნელად ემშვიდობებოდნენ № ქალაქის განმანაწილებელ წერტის შენობას. უკანასკნელი წუთიც და ღამემ ჩაიკრა გულში მთელი ქალაქი. ბრწყინვალე მზის შუქის ადგილი დაიჭირა აქა-იქ ელექტრონის შუქების მკრთალმა სინათლემ...

— ამ ეშმაკის მოგონილმა რავა ერთბაშად გააჰყიტა თვალები? ჩვენში ქალაქუ ერთ სათ უბერავს კვარსა და თვალები წამოცვინდები სანამდე ჭრაქს გაანათებდეს.—წამოილაპარაკა ბნელში მიმალულმა ერთმა ახალწვეულმა, რომელიც ელაპარაკებოდა ამხანაგს, რომელსაც ერთი ადლის სიგრძე ხანჯალი ჩამოეკიდა წინ და სარკესავით ლაპლაპებდა მისი ქარქაში ელექტრონის სინათლეზე.

დანარჩენი ახალწვეული წითელ-არმიელები შეგროვილი იყვნენ ჯგუფ-ჯგუფად და ცხიარულებდნენ. სიმღერა, ცეკვა, თარის ტკბილი ხმები და სხვა ერთმანეთში ირეოდა.

— აბა ბიჭებო, შეიკრიბეთ! ჩვენთან, რომ „ოფიცარი“ დაიარება ის მოდის და ახალ ახალ ცნობებს მოგვაწოდებს.

წამოიძახა ერთმა, რომელიც ძლიერ განირჩეოდა სხვებისაგან თავისი ოხუნჯობით.

რამოდენიმე წუთის შემდეგ № ათასეულის მეთაურის ირგვლივ სმენად იყვნენ გადაქცეული და სულ განაბული უსმენდენ მის ლაპარაკს.

— ამხანაგო, მე შელავათი მაქვს და არ შეიძლება ნებით წავიდე ჯარში?

— რა გაინტერესებს, რომ მაგრე იქცევი, არ გირჩევნია დარჩე შენს სახლში?

შეეკითხა მეთაური.

— ოცდა ორი წელიწადია სახლში ვაგდივარ და მოჯამაგირეობიდან ვერ გამოვედი. წითელ ჯარში ვინც წავიდა ჩემი ამხანაგები ყველა ჩემზედ უკეთესები დარჩენ ბოლოს, ეხლა მათ მოჯამაგირეობა რომ გაუბედო ჯოხით გამოგეკიდებიან.

მეთაურმა განუმარტა ახალწვეულებს თუ რა განსხვავება არსებობს ძირეულ და ცვალებად შემადგენლობის ნაწილებს შორის.

— მე მუდმივ ჯარში მირჩევნია, იქ მეტის სწავლაც შეიძლება და სასწავლებელშიდაც უფრო ადვილად გადავალ.

— მეც, მეც—წამოიძახეს სხვებმაც.

ამ დროს გაისმა სიმღერის ხმა.

—არიქა ბიჭებო! კიდევ მოდიან ჩვენი ამხანაგები—ღმერთო მატე ჩვენს ოჯახს! წამოიძახეს ზოგიერთებმა.

მათ რიგებს კიდევ შეუერთდენ ახალწვეულები.

— გამარჯობა ამხანაგებო! მოისმა მაზრის სამხედრო კომისრის ხმა და ცოტა საუბრის შემდეგ კომისრის განკარგულებით ყველანი წყობილებით გაემგზავრენ კინოსაკენ.

დ. ჭ.

# მუშაობა გაჩაღდა.

სამხედრო პოლიტსკოლა.

ერთი თვეა რაც ჩვენი სკოლა ძველი შენობიდან გადავიდა ახალ შენობაში, რის შემდეგ გაჩაღდა ყოველგვარი მეცადინეობა. კურსანტები გულ მოდგინეთ ეკიდებიან გაკვეთილების დამზადებას. ვსწავლობთ შინა სამსახურის წესდებებს დაწვრილებით, გავდივართ აგრეთვე ადმინისტრაციას და სხვა.

დიდად გამოცოცხლდა სკოლაში აგრეთვე წრე ბის მუშაობა. ზოგიერთი წრეები ახლად დაარსდა. მეცადინეობა ყველაში სისტემატიურად მიმდინარეობს. ამ ჟამად არსებობს შემდეგი წრეები: ლიტერატურული დრამატიული, მათემატიკური, ხანხატვრო, მომღერალთა და სხვა, რომლებიც თავისი ცოცხალი და საქმიანი მუშაობით გაკვეთილებით დაღლილ კურსანტებს ახალისებენ, ართობენ, ამხნევებენ და იზიდავენ სამოქმედო ასპარეზზე. კურსანტების მთელი ასი პროცენტია ჩაბმული მათ მუშაობაში.

არა გვაქვს სამხედრო კაბინეტი, რაც აუცილებელი საჭიროა ჩვენთვის. იმედია კაბინეტის მოწყობის და ოთახების განათების საქმეს მალე მოაგვარებს ვისაც ეს ეხება, რაც ხელს შეგვიწყობს ჩვენი მუშაობის ყოველმხრივად გამოცხოველებაში.

კურ. მუშკუნა.

# ახალი მეთაურები.

1-ლი სპორტ. ლეგიონი.

ლეგიონში გვესტუმრენ ახალი უნცროსი მეთაურები, რომლებიც ენერგიულად ასრულებენ ყველა დავალებებს. ხშირად მიდიან წითელ არმიელებთან და იწვევენ სხვა და სხვა სამუშაოებზე. ლეგიონის კედლის გაზეთშიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ, გაზეთის ტექნიკურ სამუშაოს თითქმის მარტო ისინი ასრულებენ. მოაწყვეს ლენინის კუთხეები, სწერენ ლოზუნგებს, ხატავენ პლაკატებს და სხვა.

იმედია, ეს ამხანაგები არ შეასუსტებენ დაწყებულ მუშაობას და კიდევ უფრო ენერგიულად მოჰკიდებენ მას ხელს.

სამხკორი ა. არველაძე.

# შვებულის სიმღერა.

მივდივარ და თან ხალისით
მიმიწევს გული მგრძნობელი,
სად იმედებით მიმელის
ჩემი სამშობლო სოფელი.

— —

ტკბილი ფიქრები მეხვევა
წასვლასა რომ დავადექი;
ვხარობ თან, ცოდნა რომ
მიმაქვს
სოფლისთვის გამოსადეგი.

— —

ყაზარმა არის ცოდნის და
გამოცდილების კერია,
იქ წადი თუ გსურს გაიგო
შენი მოყვარე—მტერია.

მივდივარ, თან მივლილინებ
მეხვევა ფიქრთა გუნდები,
აქეთ უვიცი წამოველ
სახლში კი მცოდნე ვბრუნდები.

— —

ფიცს ვსდებ მშრომელთა წინაშე,
მუდამ სწორი გზით ვიარო,
რაც მისწავლია,—ჩემს სოფელს
პირნათლად გავუზიარო.

დ. ხაზალია.



ამხ. ვანო სტურუა ეჯილდოვებს 2 არტლეგიონის წარჩინებულ—მსროლელებს.

# დისციპლინა საუცხოვოა.

1-ლი საარტილერიო ლეგიონი

ლეგიონის წითელ არმიელებში ამ უკანასკნელ ხანებში სამაგალითო დისციპლინა არსებობს. თითეული წითელ არმიელი შეგნებულად ასრულებს ყველა დავალებებს. ლეგიონში არ ყოფილა უბრალო საყვედურის ერთი შემთხვევაც კი. ამ მოვლენას დიდი მნიშვნელობა აქვს ახალწვეულების მოსვლის წინ. მტკიცე, შეგნებული და ამხანაგური დისციპლინა შესაფერისად იმოქმედებს ახლად მოსულ ამხანაგებზე და სათანადოთ აღზრდის მათ.

სამხკორი ა. არველაძე.

# დაარსდა ქიმიური კურსები.

მე-4 ლეგიონი.

ამ ორი კვირის წინ ჩვენს ლეგიონში დაარსდა ქიმიური კურსები. კურსებზე არიან ჩაწერილი ის უნცროსი მეთაურები, რომლებიც უვადო შვებულების შემდეგ რჩებიან ლეგიონში ზედმეტ ვადიან სამსახურში. სულ მსმენელების რიცხვი უდრის 10 კაცს, რომლებიც გულდასმით მეცადინეობენ და თითქმის გაიარეს მთელი პროგრამა.

მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს ყოველ დღიურად. ამ ოთხ დღეში კიდეც დაამთავრებენ კურსებს და მომზადებული ჩადგებიან თავ თავიანთ ასეულებში.

25 ამ თვიდან ყველა ასეულებიდან და ცალკე ოცეულებიდან გადმოგზავნილი უნდა იქნეს თითო კაცი და მათთანაც პირველ მსმენელების გამოშვების შემდეგ, დაიწყება ქიმიური მეცადინეობა. ეს საშვალებას გვაძლევს, რომ ყოველ ასეულში და ოცეულებში გვეყოლოს მომზადებული ქიმიკოსები.

სამხკორი ლექსო.

# ჩვენც ვემზადებით ოქტომბრის დღესასწაულისათვის.

მე-4 ლეგ. მე-9 ასეული.

ჩვენს ასეულში დიდი სამზადისია ოქტომბრის დღესასწაულისათვის. ვამზადებთ დასადგმად შესაფერ პიესას; მონაწილეობას ვღებულობთ ყველა წითელ არმიელები. დღესასწაულის ჩატარება კიდევ ბევრ რამეს შეგვძენს, რომლითაც გავამდიდრებთ ჩვენს გამოცდილებას ყაზარმაში მიღებულ ცოდნასთან ერთად.

მეთაურები ყოველდღე გვიკრიან თავს და გვესაუბრებიან ამ დიადი რევოლიუციის მნიშვნელობაზე და განსაკუთრებით თუ როგორი შედეგების წინაშე დაგვაყენა მისმა მერვე წლის თავმა.

წ. არმ. იმერლიშვილი.

# პრაქტიკული პოლიტსაათი ჩვენთან.

4-ხე ლეგიონი

დაირეკა ზარი. წითელ არმიელები უკვე შეგროვდნენ ლენინის კუთხეში და უცდიდენ პოლიტხელს. ყველამ იცოდა, რომ დღეს ერთგვარი გამოცდა უნდა დაეჭირათ მათ. დღეს გამოჩნდებოდა თუ ვინ როგორ შეითვისა პოლიტხელის საუბრები, სოფლად სხვა და სხვა ხასიათის მუშაობის საწარმოებლად.

აგერ პოლიტხელიც.

— წარმოვიდგინოთ რომ ჩვენ ვიმყოფებით ამ ჟამად, რომელიმე თემში უნდა ჩავატაროთ საბჭოს არჩევნები. როგორი წესი უნდა დავიცვათ არჩევნებზე, რას მივაქცევთ მთავარ ყურადღებას და საერთოდ როგორ უხელმძღვანელებთ მას?

უკვე გამოძახებულია ერთი წითელ არმიელი, სამაზრო საარჩევნო კომისიის რწმუნებულის როლში.

ამხანაგმა დაიწყო თავიდან, ჯერ ირჩევს თემის საარჩევნო კომისიას. აკეთებს მოხსენებას საბჭოს არჩევნების და კომისიის მოვალეობის შესახებ. მუშაობის დამთავრების შემდეგ კომისიას აწვევიებს სათემო კრებას. ირჩევენ თავმჯდომარეს, მდივანს და სხვა.

რწმუნებულმა მოუწოდა შემდეგ კრებას ფრთხილად მოეპყრან არჩევნებს. აირჩიონ საუკეთესო, პატიოსანი ამხანაგები. სოფლის კულაკებს და მღვდლებს არ აძლევს არჩევნების უფლებას და სხვა.

საერთოდ გამოცდამ ბრწყინვალედ ჩაიარა. წითელ არმიელებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცეს თუ როგორ გულმოდგინეთ ითვისებენ ისინი წითელ ყაზარმაში ყველა ცნობებს, რომ შესაფერად გამოიყენონ ისინი სოფლად მუშაობის დროს.

სამხკორი ნ—ი.

# ჩვენი კლუბის საქმიანობა საერთო ტერ შეკრების დროს.

6-ხე ტერ ლეგიონი.

დაწყებითი მუშაობა.

ლეგიონის საბანაკოთ გასვლის დღიდან ყველა ასეულებთან მოწყობილი იქნა სულ 18 ლენინის კარვები. ლენკარვებში ბლომად მოიპოვებოდა შესაფერისი ლოზუნგები, პლაკატები, დიაგრამები, წიგნები, კითხვა პასუხის რვეულები და სხვა. ლენკარვებთან არსებობდენ ბირთვები, სახელდობრ: 1) პოლიტ ბირთვი 2) სამხედრო ბირთვი 3) საერთო განმანათლებლი ბირთვი 4) მკითხველთა, 5) მომღერალთა, 6) საცნობო და 7) ტეხბირთი.

სულ ლეგიონში 63 სხვა და სხვა ხასიათის ბირთვი იყო ჩამოყალიბებული, რომლებსაც ტერ არმიელები ხელმძღვანელობდენ.

საერთოთ ლეგიონის ფარგლებში პირველ დაწყებით მუშაობაში ჩათრეული იყო 328 კაცი. ამათგან ტერ არმიელები იყო 272 კაცი, ხოლო 56 კი ძირეული შემადგენლობის. ბირთვების საქმიანობა უმთავრესათ გამოიხატებოდა სხვა და სხვა თემებზე საუბრების ჩატარებაში, ასეულების ფარგლებში კითხვა პასუხის საათების მოწყობასა, ბელადების ბიოგრაფიების შედგენასა, დიაგრამებისა და ლოზუნგების შედგენაში და სხვა.

ყველა ბირთვები მეცადინეობდნენ კლუბის გამგეობის თვიურ სამუშაო გეგმის თანახმად. ასეთ გეგმებს ღებულობდნენ ათასეულის ფარგლებში სკოლის გარეშე პროპაგანდის დარგში მომუშავე პოლიტხელები, რომლებიც მხოლოდ სკოლის გარეშე მუშაობას ასრულებდნენ ათასეულის ფარგლებში.

სამხკორი ე—ლი.

(გაგრძელება იქნება)

# ამუშავდა სპორტწრეც.

1-ლი ლეგიონი.

საზამთრო ბინაზე გადმოსვლის შემდეგ ლეგიონში არ გვქონდა საჭირო იარაღები და ამის გამო არც მეცადინეობა სწარმოებდა სპორტწრეში.

ეს გარემოება თავიდანვე მიიღეს მხედველობაში ჩვენმა მეთაურებმა და შეუდგნენ იარაღების შეძენას. გააკეთეს ორძელი, კიბეები და მრავალი სხვა.

წითელ არმიელებს ძლიერ აინტერესებთ სპორტი და მეცადინეობის დროს გულდასმით უსმენენ ხელმძღვანელს.

წ. არმ. დეკანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამხედრო შენიშვნებიდან.

## სამართლიანი მოთხოვნილება.

### 1-ლი ლეგიონი.

23 სექტემბრიდან ლეგიონში უნტერის მეთაურებად დაგტოვეს რამოდენიმე წ. არმიელები. როგორც აღინიშნა ერთხელ ჩვენს გაზეთში, მათთვის ამ რიცხვიდან თუ არა პირველი ოქტომბრიდან მაინც უნდა მიეცათ ჯამაგირი. ასეთი იყო შეპირება. შეკითხვაზედაც ასეთი პასუხი გაგვცეს დივიზიიდან, მაგრამ როდესაც ჯამაგირების მიღებაზე დადგა საქმე, უარი გვითხრეს,—საფინანსო განყოფილება არ გვაძლევსო. რაშია საქმე? ბრძანება თუა, საერთო უნდა იყოს ყველგან, თორემ დივიზიაში სხვას გვეუბნებიან და ლეგიონში სხვას, როგორ გავიგოთ ვინ არის მართალი?

სამხკორი აზიზი.

## ყურადღებაა საჭირო.

### ქართ. ცხენ. ლეგიონი.

წ. არმიელების სუფთად ყოფნას ნაკლები ყურადღება ექცევა და ამასთანავე ერთად არა აქვთ საცვლებიც. ზოგიერთები მარტო შარვლებით დაიარებიან. საჭიროა სამნეო ნაწილის უფროსი დროზე მოგვაქცევდეს ყურადღებას და უზრუნველგვყოფდეს საცვლებით.

ექიმმაც დროზე უნდა მოგვხედოს, თორემ შესაძლებელია თავი იჩინოს რაიმე ავადმყოფობამ უსუფთაობის ნიადაგზე.

სამხკორი ვ. გაშაკიძე.

## მოგვეცით საათი.

### 1-ლი არტლეგიონი.

არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული ჩვენს გაზეთში, რომ ლეგიონის საყარაულო შენობაში არა გვაქვს საათი, მაგრამ ყურსაც არავინ იბერტყს ამაზე. უსაათობა კი ძლიერ ართულებს საქმეს და ხშირად დიდ უკმაყოფილებას იწვევს არმიელებში.

რა გასჭირდა ასე ერთი პატარა საათის შეძენა? დროა სამნეო ნაწილის უფროსმა ყურად იღოს ეს გარემოება და ბოლო მოუღოს წითელ არმიელებში ყველთვის ერთ მურხაურს.

სამხკორი შ. ბურკაძე.

# სასოფლო მეურნეობა

## ნაცარი კარგი სასუქია ნიადაგისათვის.

ჩვენში ნაცარს უმეტეს შემთხვევაში არავითარ ყურადღებას არ აქცევენ და ტყულ უბრალოდ ჰყრიან, მაშინ როდესაც ნაცარი კარგი სასუქია ნიადაგისათვის. განსაკუთრებით კარგია ნაცარი კარტოფილისა და თამბაქოსათვის, ამასთანავე სხვა მცენარეებისათვისაც საგრძნობი სარგებლობა მოაქვს.

სახმარად უკეთესია ნაკელში შერეული ნაცარი; თუმცა შეიძლება ნაცარი ცალკეც იქნეს შეტანილი. ამ შემთხვევაში საჭიროა იქნება ნაცარი დათესვამდე რამოდენიმე ხნით ადრე იქნეს შეტანილი მიწაში, რომ ნიადაგში კარგად შეერიოს და ახლად აღმოცენებული ნორჩი მცენარე არ დაწვას.

ნაცარი თანაბრად უნდა მოიბნეს მთელ მიწაზე. სასურველია მობნევა წყნარ ამინდში, რომ ქარმა არ წაიღოს, და შემდეგ ჩაიხნას.

ნაცარის შეტანა სასუქად შეიძლება ნათესშიაც, მხოლოდ ისე უნდა მოვაბნიოთ, რომ იგი მცენარის ნორჩ ტანს არ მოხვდეს და არ დაწვას. შეტანის შემდეგ სასურველია ჩაითოხნოს.

სასუქად საუკეთესოა ხორბლეულის ნაცარი. ხეებს შორის კარგია არყის ხის და კოპიტის (იფნის) ნაცარი. წიწვიანი ხეების (ნაძვის და ფიჭვის) ნაცარი უფრო ნაკლები ღირსებისაა, თუმცა სასუქად ისინიც გამოდგებიან.

ნიადაგში შეტანილი ნაცარი საჭიროა მშრალ ადგილას იქნეს შენახული, რომ წვიმა არ ხვდებოდეს. წვიმას შეუძლია გამორეცხოს ნაცარი და მცენარისათვის საჭირო საკვების უმეტესი ნაწილი გააცილოს.

მოყვარე.

# ხელისუფლების მოღვაწეობა.

— სვანეთის სამ. აღმასკომის შუამდგომლობის თანახმად საქართ. ცაკმა შუამდგომლობა აღძრა ა. კ. ცაკის წინაშე 15 ათასი მანეთის გადადების შესახებ სვანეთში სატელეფონო და სატელეგრაფო ქსელის მოსაწყობად.

— ცაკის მიერ გურიაში გაგზავნილ კომისიის დასკვნების თანახმად, ცაკმა დაადგინა სოფ. დვაბზუს სათემო ცენტრად დატოვებულ იქნას სოფ. ცხემლის-ხიდი. შვიდწლედი სკოლა და სამკითხველო დატოვებულ იქნა სოფ. დვაბზუში. იმ სოფლებს, რომელნიც არ მოისურვებენ დარჩენ ცხემლის-ხიდის თემში, შეუძლიათ მიეწერონ ახლო მდებარე სხვა თემს.

ოზურგეთის აღმასკომს და ცეკავშირს წინადადება მიეცა, შეუდგენ ს. დვაბზუში კოოპერატივის მოწყობას.

# ამბები სოფლებიდან.

მილიციელთა სკოლა. სიღნაღში 15 ნოემბრიდან იხსნება მილიციელთა მოსამზადებელი სამარქაფო სკოლა.

შინამრეწველობის საზოგადოება. ახალციხის სამაზრო აღმასკომის მეთაურობით ახალციხეში არსდება შინამრეწველობის საზოგადოება.

გორის აღმასკომმა დაადგინა ჩაატაროს ზოგიერთ სოფლებში კამპანიები ძველი მავნე ზნე-ჩვეულებების აღმოსაფხვრელად.

ტრიფონის ველზე. გორის მაზრის გლეხებმა რიცხვით 369 კომლმა შუამდგომლობა აღძრა აღმასკომის წინაშე ტრიფონის ველზე დასახლების შესახებ.

სიღნაღში სამაზრო აღმასკომი აწყობს საერთო საცხოვრებელს ჩამოსულ მუშაკებისათვის.

თემაღმასკომების მუშაობის გამოსაცოცხლებლად ახალქალაქის აღმასკომმა დაადგინა დრო და დრო თემებში მიავლინოს სამაღმასკომის პრეზიდიუმის წევრები.

წნორის წყალზე (ქიზიყი) აგებულ იქნა ფოსტა—ტელეგრაფის ახალი შენობა.

# ახალი ამბები.

— წითელი არმია და ოქტომბრის დღესასწაულები. პოლიტგანყოფილებამ დაუგზავნა ნაწილებს ცირკულიარი ოქტომბრის დღესასწაულების ჯარში ჩატარების წესის შესახებ.

— სოფლებში. ქოხ-სამკითხველოებთან, სახალხო სახლებთან, გლეხთა სახლებთან და სხვა ორგანიზაციებთან ეწყობა სამხედრო კუთხეები.

— წერა-კითხვის უცოდინარობა. ტფ. აღმასკომის პოლიტგანათლების განყოფილებას განზრახული აქვს წელს წერა-კითხვა შეასწავლოს 9 ათას მოქალაქეს.

— ხანძართან ბრძოლის მიზნით ქალაქის კომუნალურ სექციას განზრახვა აქვს გააფართოოს ქალაქში ხანძართან საბრძოლველი ონკანები.

— საბინაო მშენებლობა. საზ-ბა „სამშენმა“ მუშათა სახლებს ასაგებათ ტფილისის აგურის ქარხნებს შეუკვეთა 2 მილიონი ცალი აგური.

— მომავალ წელში საბჭოთა კავშირში გასაღებული იქნება ასი ათასი მანეთის შინამრეწველობის ნაწარმოები.

— სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გადასწყვიტა საკრედიტო ამხანაგობების საბრუნავ თანხების გასაძლიერებლად გასცეს 400 ათ. მანეთი.

— ელსადგური ფოთში. ფოთში ახლო ხანში ამუშავებული იქნება 200 ცხენისძალიანი ელექტრო სადგური.

— ტფილისის დამზღვევმა სალარომ სექტემბერში უმუშევრებს დაურიგა 14.488 მ.ნ.

## წითელ არმიისა და ფლოტის ბაღში.

დღეს ბაღის კინოში უჩვენებენ მხიარულ კომედიას: „ოქროს ლონაზე“.

# პასუხი შეკითხვებზე

კითხვა. მე ჯარში დავრჩი ზედმეტ მსახურ უმცროს მეთაურის თანამდებობაზე. რომელ თვიდან მერგება ჯამაგირი?

გ. მოსეშვილი.

პასუხი. თანახმად კ. წ. დ. არმიის ბრძანებულებისა № 93 ჯამაგირი გეკუთვნით 1 ნოემბრიდან.

კითხვა. ჩაწერილი ვარ კომკავშირში 1921 წლიდან. მანდატი კი მივიღე 1923 წ. რიცხვით. ვის უნდა მივმართო ამის გამოსასწორებლად?

წ. ა. კაზაევი.

პასუხი. მიმართეთ იმ ორგანოს, საიდანაც მანდატი მიიღეთ.

კითხვა. ვასრულებ ტ რ ლეგ. მე-3 ათასეულის ბიბლიოთეკის მოვალეობას. რამდენი მეკუთვნის ჯამაგირი?

პასუხი. ჯამაგირი გეკუთვნით შტატით დადებული.

კითხვა. ვარ ზედმეტი მსახური, ათის თავად. მომეცემა თუ არა დედისათვის ულუფა?

ხევდურელი.

პასუხი. თანახმად რევსამხსაბჭოს ბრძანებისა № 163 გეკუთვნით.

კითხვა. შვებულებაში მიმავალ წ. ა. ახალი ტანისამოსი მიეცემა თუ არა?

პასუხი. არა.

კითხვა. დავკარგე საბანი სროლაზე. მოხდა კვლევა-ძიება. გადამხდება თუ არა მისი საფასური?

პასუხი. დამოკიდებულია იმ გარემოებაზე, რომლის მიზეზითაც დაკარგეთ.

კითხვა. მაუდის შარვლებს გაგვატანენ თუ არა?

პასუხი. არა.

კითხვა. წ. ა. შეუძლია თუ არა გახდეს კავშირის წევრი?

პასუხი. არა. სამსახურის გათავების შემდეგ მექანიკურად შეგიძლიათ კავშირში შესვლა.

კითხვა. წ. ა. სამსახურის გათავების შემდეგ შეუძლია თუ არა ატაროს იარაღი?

პასუხი. ნება დაურთველად არ შეუძლია.

კითხვა. უვადო შვებულებაში წასვლის შემდეგ მომეცემა თუ არა პირველ რიგში სამსახური?

წ. ა. ჯორბენაძე.

პასუხი. მოგეცემათ, თუ ასეთი თავისუფალი იქნება.

# ოქტომბრის დღესასწაულისათვის

## მე-2 ქართ. მსრ. დივიზიის პოლიტგანყოფილების ცირკულიარი № 5

ქ. თბილისი 26 ოქტომბერი 1925 წ.

ოქტომბრის დღესასწაულის ჩატარება იწყება 6 ნოემბერს და თავდება 8 ნოემბერს.

სანიმუშო გეგმა დღესასწაულის ჩატარებისა შემდეგია:

1. ნოემბრის 6-ს საღამოთი ეწყობა საბჭოების საზეიმო სხდომები, რომლებზედაც ესწრებიან ნაწილების წარმომადგენლები. ეწყობა აგრეთვე სამხედრო ნაწილების და მუშათა ორგანიზაციების გაერთიანებული კრებები, ლოზუნგით „ზრდა და გაფართოვება ჩვენი მეურნეობის“. კლუბებში საღამოები ამავე თემაზე.

2. ნოემბრის 7 საღამოთი წითელ არმიელები მიდიან კლუბებში, კინოებში და თეატრებში, სადაც გაიმართება უფასო წარმოდგენა—სეანსები.

3. ნოემბრის 8-ს დღისით იმართება სპორტიული გამოსვლები, საღამოთი ნაწილების კლუბებში იმართება საღამო-მიტინგები, მიძღვნილი ოქტომბრის რევოლუციისადმი. ამ წარმოდგენაზე მოიწვევიან მუშათა წარმომადგენლები და თუ შესაძლებელია გლეხები სამეფო სოფლებიდან; ნაწილებიდან დელეგაციები იგზავნებიან მუშათა კლუბებში.

პოლიტგანყოფილება წინადადებას იძლევა:

1. დღესასწაული ჩატარდეს მუშათა ორგანიზაციებთან ერთად.

2. პარტიულ ღია კრებებზე დაისვას შემდეგი საკითხები:

ა) ზრდა ჩვენი მეურნეობის და განვითარება მისი სოციალისტური მშენებლობის გზით.

ბ) პარტიის მუშაობა გლეხთა შორის.

3. წითელ არმიელებთან ჩატარდეს ბაასი თემებზე:

ა) ოქტომბრის გამარჯვება არის მუშათა და გლეხთა კავშირის გამარჯვება.

ბ) წითელი არმია არის შვილი და დამცველი ოქტომბრის.

4. მუშაობა სკოლის გარეშე განათლების ხაზით:

ა) მთელი მუშაობა დაკავშირებული უნდა იქმნეს დღესასწაულის მთავარ მომენტებთან.

ბ) დღესასწაულის დაწყებამდე ლენინის კუთხეში ჩატარდეს მთელი რიგი ბაასის, კითხვების და დეკლამაციის საგანგებო შერჩეულ მასალით. მოეწყოს ლენინის კუთხის გადახალისება. მთავარი ყურადღება მიექცეს განყოფილებას „ლენინი და პარტია“.

გ) კლუბის წრეების მუშაობა მიმართული უნდა იყოს დღესასწაულის ორგანიზაცია-ჩატარებისაკენ.

დ) მასიურ მუშაობაში მიექცეს უდიდესი ყურადღება, რომ საღამოები იყვნენ ფრიად დამაკმაყოფილებელნი და პროგრამები შეეფარდებოდენ დღესასწაულის ხასიათს.

ე. გამოიცეს კედლის გაზეთის საგანგებო ნომერი.

5. ახალწვეულთა შეხვედრა უნდა დაუკავშირდეს დღესასწაულის ჩატარებას. კარანტინში ჩატარებულ იქმნეს ბაასის მთელი რიგი ოქტომბრის ირგვლივ.

პოლიტგანყოფილების უფროსი: ბლუაშვილი.

აგიტპროპნაწილის უფროსი: ადამაძე.

# განცხადება

მე-2 არტლეგიონის ბიურო კოლექტივი ამით აცხადებს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგების საყურადღებოთ, რომ საშაბათს 27 ოქტომბერს საღამოს 5 საათზე ლეგიონის შენობაში (კამოს ქ. № 26) დანიშნულია რწმუნებულების საერთო კრება, რომელზედაც დასწრება ევალებათ:

1. ხარაბაძე ეფრემი, 2. ლომიძე გიორგი, 3. ლაბაძე გიორგი, 4. ჯმუხაძე ნიკოლოზი, 5. ბადამშინი კერემი, 6. ჯალალოვ ლევანი, 7. ჭეჭინაძე დავითი, 8. შმიტი ედუარდი, 9. გაგნიძე სერგო, 10. ბენდიანიშვილი ივანე, 11. მალიუკოვი თედორე, 12. სუსიზენკო ვასილი, 13. კრაკასევიჩ სტეფანე.

სამხკომი ზარამიძე.

ბიურო კოლექ. მდივ. მაგიერი ლექავა.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.



სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.